თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2012 წლის 30 ნოემბრის სხდომის ოქმი #7

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 25, სტუდენტები – 8, სულ – 34 წევრი.

დღის წესრიგი

1. ფაკულტეტის სასწავლო–სამეცნიერო სტრუქტურის მოწყობის ერთიანი მოდელის პროექტის შესახებ (დანართი #1)

   /ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

2. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის

   /ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

3. პროფესორ ანდრეას კნორის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

   /სრ. პროფ. დ. ნარმანია/

4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მისაღები კონტიგენტის კითხვარის დამტკიცების შესახებ (დანართი #2)

   (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

5. აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ.

   (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

6. სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების პროცედურა (დანართი #3)

   /სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

7. სამაგისტრო პროგრამის მოდულში ქვოტების განსაზღვრის შესახებ

   /ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

8. მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობის განსაზღვრის შესახებ (დანართი #4)

   (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ოფის მენეჯერი (მდივან რეფერენტი) მეორე და მესამე საფეხური - დამტკიცება. (ხელ-ლი: ასოც. პროფ. ვ. კიკუტაძე)

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

10. მიმდინარე საკითხები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ფაკულტეტის სასწავლო–სამეცნიერო სტრუქტურის მოწყობის ერთიანი მოდელის პროექტის შესახებ (დანართი #1)

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

მომხსენებელმა ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს გააცნო ა(ა)იპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურის მოწყობის ერთიანი მოდელის დამტკიცების შესახებ (#1452/01-01-13-13, 21.11.2012) აკადემიური საბჭოს დადგენილების პროექტი, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს წევრებს დაეგზავნა ელექტრონულად. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ინარჩუნებს ძველ პოზიციებს კათედრების არსებობის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ფაკულტეტი ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს კენჭისყრაზე დავაყენოთ საკითხი აღნიშნული წესის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილი, ბატონი აკაკი ხელაძე, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი, სრ. პროფ. გ. ღაღანიძე, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძე, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილი

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ მხარი დაუჭრა ფაკულტეტების სასწავლო–სამეცნიერო სტრუქტურის მოწყობის ერთიან მოდელს.

2. აღნიშნულის დამტკიცება ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

მომხსენებელმა ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს გააცნო ა(ა)იპ – „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მუხლი 41. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დანიშვნის წესი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებითა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანხმობით, ნიშნავს ფაკულტეტის დეკანი. ბატონმა აკაკიმ საბჭოს შესთავაზა ქალბატონი ეკა ლეკაშვილის კანდიდატურა.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ნ. თოდუამ, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძემ.

სრ. პროფ. ნ. თოდუა - ქალბატონ ეკას უზარმაზარი შრომა აქვს გაწეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში საქმიანობის პერიოდში, განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო 2011 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამული აკრედიტაციის პროცესში მისი წვლილი. ამდენად, მე მხარს ვუჭერს წარმოდგენილ კანდიდატურას.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარდგენილ იქნეს ქალბატონ ეკა ლეკაშვილის კანდიდატურა.

მოისმინეს: პროფესორ ანდრეას კნორის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

/სრ. პროფ. დ. ნარმანია/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ - ჩვენს ფაკულტეტს, თსუ იურიდიულ ფაკულტეტთან ერთად, უკვე ოთხ წელზე მეტია მჭიდრო თანამშრომლობა აქვს გერმანიის შპაიერის საზოგადოებრივი ადმინისტრირების უნივერსიტეტთან (www.dhv-speyer.de). უნივერსიტეტის მხრიდან პარტნიორობას გვიწევს ეკონომიკური და სატრანსპორტო პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი, **დოქტორი ანდრეას კნორი (Dr. Andreass Knorr).**

მიმდინარე ეტაპზე, თსუ იურიდიული ფაკულტეტი აკეთებს ინიცირებას პროფ. კნორისთვის საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭების თაობაზე. ვინაიდან, ჩვენი ფაკულტეტიც ამ პროგრამაში აქტიურად მონაწილეობდა, მიზანშეწონილად მიმაჩნია, ჩვენი ფაკულტეტის მხრიდანაც დაისვას საკითხი მხარდაჭერის თაობაზე.

ამდენად, გთხოვთ, დასვათ საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რათა გააკეთოს წარდგინება თსუ აკადემიურ საბჭოსთან, პროფ. დოქტ. ანდრეას კნორისთვის თსუ საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:

სრ. პროფ. ს. გელაშვილი - მაინტერესებს ჩვენი ფაკულტეტისათვის რა დამსახურება აქვს ბატონ კნორის, რომ მოხდეს წარდგინება თსუ აკადემიურ საბჭოსთან საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით.

სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილი - მე როგორც ვიცი, იურიდიული ფაკულტეტი ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, ამ შემთხვევაში ჩვენი ფაკულტეტი არაფერ შუაშია. შესაბამისად, იურიდიულმა ფაკულტეტმა უნდა მოახდინოს წარდგინება ბატონ კნორისათვის საპატიო დოქტორის ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება, ჩვენს ფაკულტეტს აღნიშნულ წიანადადებას შესაძლებალია, რომ მხარი დაუჭიროს.

სრ. პროფ. ქ. მარშავა - როდესაც აღნიშნული საკითხი გავა აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად იქ დავაფიქსირებთ, რომ წარდგენილია იურიდიული ფაკულტეტის მიერ და მხარს უწერს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიც.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - მხარდაჭერის მომენტი მისაღებია, მაგრამ, რაც შეეხება პროგრამულ ნაწილს, მასში ფაკულტეტი მონაწილეობას არ იღებდა და სასურველი იყო დასაწყისში, როდესაც პროგრამის შემუშავება ხდებოდა, რომ ყოფილიყო გათვალისწინებული ფაკულტეტის მოსაზრებებიც მისასალმებელი იქნებოდა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ მხარი დაუჭირა იურიდიული ფაკულტეტის წარდგინებას პროფესორ ანდრეას კნორის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ.

2. იურიდიულ ფაკულეტეტს ეთხოვოს, რომ პროგრამულ ნაწილში მოხდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჩართულობისა და თანამონაწილეობის გაზრდა.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მისაღები კონტიგენტის კითხვარის დამტკიცების შესახებ

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილმა საბჭოს გააცნო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წეილი #66854 (22.11.2012), რომელშიც აღნიშნულია 2012-2013 სასწავლო წლისთვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების პირობები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კათედრებზე დაიგზავნა წერილი ეკონომიკისა

და ბიზნესის ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტისა და მიღების წინა პირობების განსაზღვრის შესახებ თვალსაზრის წარმოდგენასთან დაკავშირებით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აღნიშნულ საკითხებზე გამოხმაურება არ მიუღია. აღნიშნულ საკითხზე მივიღეთ გამოხმაურება ტურისმის საერთაშორისო სკოლიდან, სადაც შემოთავაზებულია ტურისმიზ საბაკალავრო პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი განისაზღვროს 300 ადგილით.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა შევისწავლეთ გასული წლების სტატისტიკა, გავაანალიზეთ კონკურენტი უნივერსიტეტების მიერ შემოთავაზებული პირობები და აღნიშნულზე დაყრდნობით, შევიტანეთ მცირეოდენი ცვლილება მიღების პირობებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. მ. მარგველაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის და მიღების პირობების შემოთავაზებული ვარიანტი (იხილეთ დანართი);

2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნულის დამტკიცება.

მოისმინეს: აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ.

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. გ. ღაღანიძემ, სრ. პროფ. მ. მარგველაშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. მიენიჭოს ბისნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი სამაგისტრო პროგრამა -„ბიზნესის ადმინისტრირება“

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ბაკურაძე გიორგი
2. ლაბაძე თამარ
3. ჩანჩიბაძე ამირან

2. მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულს და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი:

1. კვირკველია ნათია
2. ონაშვილი ნინო

3. მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საბაკალავრო პროგრამა - „ბიზნესის ადმინისტრირება“

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ლალიაშვილი ნინო
2. შენგელია თამაზ

მოისმინეს: სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების პროცედურა

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

მომხსენებელმა საბჭოს გააცნო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების პროცედურა, რომელიც საბჭოს წევრებს დაგზავნილი ქონდათ ელექტრონულად. მოხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ სრ. პროფ. ს. გელაშვილის და სრ. პროფ. ი. მესხიასგან შემოვიდა შენიშვნები, რომელთა გათვალისწინებაც აღნიშნულ პროცედურაში.

აზრი გამოთქვეს: დეკანმა ბატონმა აკაკი ხელაძემ, სრ. პროფ. ი. მესხიამ, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;
წინააღმდეგი – 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების პროცედურა შემდეგი რედაქციით:

1. კონფერენციის ორგანიზატორი კათედრა, წერილობით განაცხადს წარადგენს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში (კონფერენციის ჩატარებამდე 6 თვით ადრე);
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური ამზადებს ინფორმაციას ჩასატარებელი კონფერენციის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს სახელზე:
   ა) კონფერენციის სახელწოდება და თემატიკა;
   ბ) კონფერენციის თარიღი;
   გ) საკონფერენციო სტატიის წარმოდგენის წესი/ მოთხოვნები;
   დ) კონფერენციის ორგანიზატორი და საორგანიზაციო კომიტეტი შემადგენლობა;
   ე) კონფერენციის ბიუჯეტი;
   ვ) კონფერენციის თემატიკის დასაბუთება (მოკლე რეზიუმე);
   ზ) კონფერენციაში მონაწილეთა (ადგილობრივი და უცხოელი) მიახლოებითი რიცხოვნობა;
3. გადაწყვეტილებას კონფერენციის ჩატარების შესახებ იღებს ფაკულტეტის საბჭო;
4. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი ამზადებს წარდგინებას დეკანის სახელზე კონფერენციის ჩატარების შესახებ;
5. ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე მზადდება შესაბამისი ბრძანება.

მოისმინეს: სამაგისტრო პროგრამის მოდულში ქვოტების განსაზღვრის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

მომხსენებელმა ბატონი აკაკი ხელაძემ საბჭოს გააცნო „ეკონომიკის“ სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი, სრული პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილის სამსახურებრივი ბარათი, რომელიც ეხება სამაგისტრო პროგრამის მოდულში ქვოტების განსაზღვრას, კერძოდ, მოდულში სტუდენტთა რიცხოვნობის მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 20 სტუდენტისა. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მოდულის მსურველი აღმოცნდება 20-ზე მეტი სტუდენტი, მაშინ უნდა მოხდეს მათი ქულების რანჟირება მოდულის შესაბამისი პირველ სემესტრში გავლილი საგნის მიხედვით და პირველი 20 სტუდენტი ჩაირიცხოს იქ, ხოლო დანარჩენებმა აირჩიონ სხვა მოდული. თუ ამის შემდეგ რამდენიმე სტუდენტს აღმოაჩნდება თანაბარი ქულები, მაშინ უნდა ამუსავდეს რანჟირების მეორე ვარიანტი, ანუ პირველი სემესტრის საშედეგო ქულების ჯამი და მათი სიდიდის მიხედვით მოხდეს სტუდენტთა უპირატესი ჩარიცხვა სასურველ მოდულში.

აღნიშნული, ამავე დროს, შეთანხმებულია „ეკონომიკის“ სამაგისტრო პროგრამის მოდულის ხელმძღვანელებთან: ნოდარ ხადურთან, იური ანანიაშვილთან, სიმონ გელაშვილთან, ეთერ ხარაიშვილთან, რევაზ გველესიანთან და ნინო პაპაჩაშვილთან.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ი. ანანიაშვილმა, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, სრ. პროფ. გ. ღაღანიძემ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - ამ საკითხზე ჩვენ გქონდა მსჯელობა, სტუდენტები ირჩევენ სამაგისტრო პროგრამას და არა მოდულს. მე დავინახე პრობლემა სამაგისტრო ნაშრომების შესრულების ნაწილშიც. ამიტომ, აუცილებელია გამოიძებნოს მექანიზმი, რომელის ამ პრობლემას მოაგვარებს.

სრ. პროფ. გ. ღაღანიძე - ამჟამად, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა არ აისახება არც სალექციო და არც საკონსულტაციო საატებში, სხვა საკითხია რა ქვოტა იყოს განსაზღვრული, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ხუთ მაგისტრზე მეტის ხელმძღვანელობა უკვე არაეფექტურია.

ბატონი აკაკი ხელაძე - ანაზღაურებულიც, რომ იყოს მაგისტრების ხელმძღვანელობა 60 მაგისტრს ერთი პროფესორი უბრალოდ ვერ უხელმძღვანელებს. რომელ მოდულზეც მაღალია რაოდენობა, სასურველია შეზღუდოს.

დაადგინეს: საფაკულტეტო მასშტაბით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე იქნეს წინანდადებები წარმოდგენილი და განხილული.

მოისმინეს: მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობის განსაზღვრის შესახებ

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

მომხსენებელმა ქალმატონმა ეკა ლეკაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა სრ. პროფ. მ. ტუხაშვილისა და ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძის გაწეული სამსახურისთვის და საბჭოს გააცნო მათ მიერ წარმოდგენილი მოსხენებითი ბარათი მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობის განსაზღვრის შესახებ, რომლის საფუძველზეც მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 20 აკადემიურ საათს, მათ შორის ლექცია - 10 აკადემიური საათი. აღნიშნული მოხსენებითი ბარათი განსახილველად საბჭოს წევრებს დაგზავნილი ქონდათ ელექტრონულადაც.

აზრი გამოთქვეს: დეკანმა ბატონმა აკაკი ხელაძემ, სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. გ ღაღანიძემ, სრ. პროფ. ი. ანანიაშვილმა, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, ასოც. პროფ. ი. ჭილაძემ, სტუდენტმა მარიამ ტყაბლაძემ და სტუდენტმა სოფიო ჩიტაძემ.

ბატონი აკაკი ხელაძე - მე ვფიქრობ 20 აკადემიური საათი ბევრია და იქნებ რაოდენობა განისაზღვროს 16 საათით.

სრ. პროფ. ი. ანანიაშვილი - ხშირად არის პრეცენდენტი, როდესაც დატვირთვა არის ერთ სემესტრში, შესაბამისად, ხშირად შტატის თანამშრომელს ერთ სემესტრში უწევს კვირაში 20 საათის ჩატარება.

სრ. პროფ. ქ. მარშავა - გავითვალისწინოთ სოციალური სამართლიანობა და ასევე, პროფესორი, რომელიც არსად არ მუსაობს, გარდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა, ამდენად სავსებით შესაძლებელია დატვირთვა განისაზღვროს 20 აკადემიური საათით.

სრ. პროფ. გ. ღაღანიძე - მე მესმის ქალბატონი ქეთევანის, რომელიც სოციალურ სამართლიანობას უკავშირდება, არ შეიძლება ხარისხი სემცირდეს სტუდენტის ხარჯზე. აქ შეიძლება საუბარი იყოს ერთი საათის ანაზრაურების გაზრდაზე. არსებობს ფიზიკური ზღვარი, რომლის იქეთ უკვე წაკითხული ლექციის ეფექტურობა იქნაბა დაბალი.

სტუდენტი ტყაბლაძე - ნამდვილად გეთანხმებით, ლექტორი მეოთხე და მეხუთე სემინარს რომ ატარებს, უკვე ისეთი ეფექტური აღარ არის, როგორც დასაწყისში, ამიტომ ვეთანხმები 16 აკადემიურ საათს.

ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძე - გერმანიაში პროფესორის კვირეული დატვირთვა განისაზღვრება 6 საათით. პროფესორს, რომელსაც ექნება მაქსიმუმი 16 საათი, მაშინ მას სხვაგან მუშაობა უნდა შეეზღუდოს.

ასოც. პროფ. ი. ჭილაძე - მე ვფიქრობ სოციალური უთანასწორობის საკიტხი ჩვენი საქმე არ არის, რასაც ატარებს შტატის თანამშრომელი, ის უნდა ჩაატაროს მოწვეულმა ლექტორმაც.

სტუდენტი ჩიტაძე - პრფესორი სხვაგანაც მუსაობს თუ არა ამის დარეგულირება ვფიქრობ რთული იქნება, ან რატომ უნდა ვაკონტროლოთ, მას აქვს უფლება სხვაგანაც მუშაობდეს.

სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილი - მე მაქვს ასეთი მოსაზრება, მაქსიმუმ 12 აკადემიური საათი, როგორც შტატის თანამშრომლისთვისაა განსაზღვრული. აქ შეიძლება ითქვას ხელფასთან დაკავშირებით, მაგრამ არ შეიძლება სტუდენტის სწავლების ხარჯზე მოხდეს.

1. კენჭი ეყარა მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 აკადემიურ საათს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 4;
წინააღმდეგი – 30.

2. კენჭი ეყარა მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 16 აკადემიურ საათს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;
წინააღმდეგი – 4.

დაადგინეს: მოწვეული პერსონალისთვის კვირეული დატვირთვის მაქსიმალური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 16 აკადემიურ საათს.

მოისმინეს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ოფის მენეჯერი (მდივან რეფერენტი) მეორე და მესამე საფეხური - დამტკიცება. (ხელ-ლი: ასოც. პროფ. ვ. კიკუტაძე)

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. ე. ლეკაშვილი)

მომხსენებელმა ქალბატონმა ეკა ლეკაშვილმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტთან თეუსუ-ს შემოერთების შემდეგ ქუთაისში გვაქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სადაც ამჟამად ხორციელდება მილევადი საბაკალავრო პროგრამა „ეკონომიკა“. პროგრამის დასრულების შემდგომ აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დაუტვირთავი რჩება, შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინიტრაციის ინიცირებით დავიწყეთ მუშაობა აღნიშნული პროფესიული პროგრამების შემუშავებაზე. მენეჯმენტის კათედრიდან გამოიყო ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ვ. კიკუტაძე, რომელმაც კოორდინირება გაუწია

პროგრამების შემუშავების პროცესს. პროგრამა განხილული იქნა ფაკულტეტის და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებში, გადამუშავდა შენიშვნების გათვალისწინებით და ამ ეტაპზე მიეცა რეკომენდაცია ფაკულტეტის საბჭოზე განსახილველად. ერთი მხრივ, დაისვა შეკითხვა რამდენად ჯდება პროფესული პროგრამები უნივერსიტეტის სტრატეგიაში, თუმცა მეორე მხრივ, გვაქვს არსებული რეალობა. ფაკულკტეტის საბჭოს გადასაწყვეტია აღნიშნული პროგრამების დამტკიცების მიზანშეწონილობა.

აზრი გამოთქვეს: დეკანმა ბატონმა აკაკი ხელაძემ, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. გ. ღაღანიძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 34;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. მიეცეს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - ოფის მენეჯერი (მდივან რეფერენტი) მეორე და მესამე საფეხური (ხელ-ლი: ასოც. პროფ. ვ. კიკუტაძე);

2. აღნიშნულის დატკიცება ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

მიმდინარე საკითხები:

1. **მოისმინეს:** ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტქენოლოგიების კათედრის ხელმძღვანელის ასოც. პროფ. ე. ლაგვილავას ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში 5 კრედიტის ჩასმის შეხახებ. ბატონმა ენვერმა აღნიშნა, რომ როდესაც ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სრული პროფესორების შეხვედრაზე დავაყენე აღნიშნული საკითხი, წინააღმდეგი არავინ არ არის არნისნული საგნის და კრედიტის გაზრდასთან დაკავშირებით, მაგრამ პრობლემაა სად უნდა ჩაისვას ჩვენი კათედრის მეორე საგანი - „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“.

აზრი გამოთქვეს:

სრ. პროფ. ე. ხარაიშვილი - სანამ საბჭოზე განვიხილავთ აღნიშნულ საკითხს, იქნებ ბიზნესის ადმინიტრირების მიმართულებაზე პროგრამის ხელმძღვანელებთან შეგეთანხმებიათ და შემდეგ დაგვემტკიცებინა ფაკულტეტის საბჭოზე.

სრ. პროფ. გ. ღაღანიძე - ყველას გახსოვთ, როდესაც მე ვხელმძღვანელობდი მენეჯმენტის კათედრას შევიტანე ცვლილება და ჩავსვი თქვენი კათედრის საგანი. ამ ეტაპზე უნდა შეისწავლოთ კომპანიების მოთხოვნები და რომ ჩვენი კურსადმთავრებული იყოს კონკურენტუნარიანი, ასწავლეთ შესაბამისი პროგრამებით.

სრ. პროფ. ნ. თოდუა - საბაკალავრო პროგრამებში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შედეგად განათლების სამინისტროში გვიწევს დასაბუთება, თუ რატომ შევიდა აღნიშნული ცვლილება, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს აკრედიტირებული პროგრამის არსებობას, შესაბამისად, წინააღმდეგი ვარ ისეთი ცვლილების განხორციელების, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს პროგრამის აკრედიტაციას. ამდენად, ვაცხადებ, რომ წინააღმდეგი ვარ პროგრამაში ძირეული ცვლილების შეტანის.

სტუდენტი ჩიტაძე - მე პირველ კურსზე გავდიოდი ინფორმატიკის საგანს, მინდა გითხრათ, რომ ნამდვილად ბევრი რამე ვისწავლეთ, მაგრამ მინდა ავღნიშნო, რომ ვორდის ფაილის გახსნა გვასწავლეს, რომელიც არ იყო აუცილებელი და სავალდებულო.

მოწვეულ პედაგოგი თ. მელქოშვილი - როდესაც ლაპარაკობთ პროგრამის სრულყოფილებაზე დაამ დროს ინფორმატიკას აქვს კვირაში 2 სათიანი დატვირთვა, მაშინ როცა ალაბათობის 5 კრედიტიან დატვირთვას კვირაში 5 საათი აქვს.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

1. **სრ. პროფესორი გ. ღაღანიძე** - ბატონმა გიორგიმ საბჭოს გააცნო ასოცირებული პროფესორ ნატალია ხარაძის სამსახურებრივი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ

მოგეხსენებათ, რომ კონტრაქტის მიხედვით ხდება „ა“ კატეგორიის თანამშრომლებზე საკონსულტაციო საათების ჩატარება, რომელიც ფორმალურ ხასიათს ატარებს, კერძოდ არ არსებობს ადამიანი ვინც უზრუნველყოფს მის აღრიცხვას, როგორც დეკანმა განაცხადა ჩემთან პირად საუბარში ვიღაც უხილავი ადამიანი ახდენს მის აღრიცხვას, რაც ყოვლად მიუღებელია აკადემიური გარემოსათვის.

1. შეუძლებელია 2 კონტრაქტის შესრულება უზრუნველყოს 1 ადამიანმა, კერძოდ, "ა“ კონტრაქტი, რომელიც მაგ. ასისტენტის შემთხვევაში ითვალისწინებს კვირაში 24 საათიან დატვირთვას და პარალელურად ასრულებდეს სხვა ადმინისტრაცილი ერთეულის მომუშავის საქმიანობას, რომლის კონტრაქტის გათვალისწინებითაც, მათ ევალებათ 9 და 6 საათამდე მუშაობა.

ნ. ხარაძემ მოითხოვა პასუხი კითხვაზე – რომელ კონტრაქტს არ ასრულებენ პირნათლად!! რომ არ არდა ვერ ასრულებენ ეს ნათლად ჩანს სტუდენტთა უამრავი საჩივრებიდან, რომელსაც პირად საუბრებში გამოხატავენ. არასწორად დათვლილი საშტატო ერთეულის გამო უამრავი პროფესიონალი თსუ–ს მიღმა დარჩა, სამართლიანობა მოითხოვს რომ მოხდეს მათი ინტერესების გათვალისწინება და დავუბრუნოთ ისინი უნივერსიტეტს. მოვითხოვ ფაკულტეტის აკადემიურ საბჭოზე კათედრის წარმომადგენლებმა დააყენოს საკითხი რათა მოხდეს 2 შტატში დასაქმებულების გამოთავისუფლება და მათ ადგილზე სხვების ჩანაცვლება, ამას მოითხოვს სოციალური სამართლიანობაც, ან მოხდეს მათი „ა“ კონტრაქტიდან „ბ“ კონტრაქტზე გადასვლა. მარტივი მისახვედრია რომ ერთი ადამიანი 2 კონტრაქტს ვერ შეასრულებს როცა ორივეს სჭირდება 9-დან 4 და 9-დან 6 საათამდე მუშაობა.

2. ასევე წარმოუდგენელი უსამართლობაა ის ფაქტი, რომ 9 და 6 საათამდე დასაქმებული დამხმარე პერსონალი, რომელთა დატვირთვა რეალურია და არა მოჩვენებითი როგორც ეს საკონსულტაციო საათების შემთხვევაში ხდება, არავინ

იფიქრა მათი სახელფასო ნაწილის გაზრდაზე, მოვითხოვ ამ საკითხის ფაკულტეტის სხდომაზე დაყენებას. დამხმარე პერსონალიდან არიან ადამიანები რომელთა კვალიფიკაცია სრულიად საკმარისი, რომ მათ დაიკავონ მაგ. ხარისხის სამსახურის თანამშრომელთა საშტატო ერთეულის ადგილი რათა მათი ანაზღაურება შეურაცხმყოფელი არ იყოს იმ ფონზე რაც სრული და ასოცირებილი პროფესორები ვიღებთ.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

1. **ბატონი აკაკი ხელაძე** - ბატონმა აკაკიმ საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია საბიუჯეტო კომისიის მუშაობის შესახებ და აღნიშნა, რომ აქვე მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ელგუჯას (კომისიის თავმჯდომარე) და მთელ საბიუჯო კომისიას გაწეული მუშაობისთვის და დასძინა, რომ ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება იგეგმება ფაკულტეტის მომავალ საბჭოს სხდომაზე.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

2. **ბატონი აკაკი ხელაძე** - ბატონმა აკაკიმ საბჭოს გააცნო თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ჟურნალისტიკისა და მას. კომუნიკაციის პირველი კურსის სტუდენტის, ამავე დროს ვებ-ჟურნალ „თავისუფალი ასოციაციის“ ჟურნალისტის მაია ჭანტურიძის განცხადება, სადაც ითხოვს ნებართვას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე დასწრებას. საბჭოს წევრების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ ფაკულტეტის საბჭოს ოქმები საჯაროა და ქვეყნდება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე, ამდენად, დაინტერესების შემთხვევაში შესაძლებელია გაეცნოს შესაბამის ოქმებს.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ხელაძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: ხ. ბარბაქაძე